განმარტებითი ბარათი

გვინდა ავხსნათ ჩვენი საპროექტო წინადადების მიზნობრიობა.

ჩვენს საკუთრებაში არსებული ტერიტორია და შენობა (ფუნქციურად საწყობი) მდებარეობს დიდ დიღომში. მოგეხსენებათ აღნიშნულ ტერიტორიაზე ქალაქის სხვა უბნებთან შედარებით ბუნების მკაცრი პირობებია.

ჩვენს უბანში ამავედროს მნიშვნელოვანი ინფრასტუქტურული პრობლემების წინაშეა მოსახლეობა. ძლიერი, წყალუხვი წვიმების დროს განსაკუთრებით მწვავდება სიტუაცია.

როდესაც მოწესრიგდა ჩვენი ქუჩა, დაიგო ასფალტი, მოეწყო ტროტუარები, გზის ნიშნულმა საგრძნობლად აიწია და ჩვენს ეზოში შემოსასვლელად საჭირო გახდა პანდუსის მოწყობა. ძლიერი წვიმის შედეგად საწყობის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით წყალი და ნაშალი მიწა შემოდის, რომელიც ზედა ქუჩებიდან მოედინება. ეს იწვევს ტერიტორიის დატბორვას, საწყობში (ჩვენს შენობაში) განთავსებული ინვენტარის დაზიანებას და მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს.

პრობლემის შესწავლის შედეგად დავაიდენტიფიცირეთ წყლის შემოდინების კონკრეტული წყარო, საწყობის შესასვლელი კარი, რომლის ქვედა ნაწილიდან უხვი ნალექის დროს წყალი და ნაშალი მიწა შეუფერხებლად შემოდის საწყობის ტერიტორიაზე.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, პრობლემის ეფექტიანად მოსაგვარებლად მიგვაჩნია არსებული შესასვლელი კარის გაუქმება და მისი ცენტრალურ ნაწილში, უფრო შემაღლებულ ნიშნულზე გადატანა. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვნად შეამცირებს წყლის ნაკადის მოხვედრის რისკს საწყობის ტერიტორიაზე და თავიდან აგვაცილებს განმეორებით დატბორვასა და მისგან გამოწვეულ მატერიალურ ზარალს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული საკითხით მერიისთვის ადრეც მოგვიმართავს. თქვენი მხარდაჭერით, პრობლემის ნაწილობრივ მოსაგვარებლად, ტერიტორიაზე მოეწყო ორი დამატებითი ცხაური, რამაც შედარებით ნაკლები ინტენსივობის ნალექის დროს დადებითი შედეგი გამოიღო. მადლობას გიხდით დროული რეაგირებისა და განხორციელებული სამუშაოებისთვის.

თუმცა, ბოლო სტიქიურმა ნალექმა (რომელიც მოხდა ამა წლის 25 ოქტომბერს, ღამის საათებში) კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა, რომ საჭიროა დამატებითი ღონისძიებების ჩატარება პრობლემის მოსაგვარებლად. განცხადებას თან ერთვის ბოლო სტიქიური ნალექის დროს საწყობის დატბორვის ამსახველი ფოტომასალა, რომელიც ნათლად ასახავს პრობლემის მასშტაბსა და მის შედეგებს.

იმედი გვაქვს, თქვენი მხარდაჭერით შესაძლებელი გახდება პრობლემის სრულად მოგვარება და მომავალში მსგავსი შემთხვევებით გამოწვეული მატერიალური ზიანის თავიდან აცილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი მასალა (პროექტი) და გასცეთ თანხმობა შესასვლელი კარის გაუქმებისა და მისი ცენტრალურ, უფრო შემაღლებულ ნაწილში გადატანის თაობაზე და ამ საკითხის გადასაწყვეტად სათანადო სამუშაოების მოწყობაზე რაც პროექტშია მითითებული.

ა) შესასვლელი კარი მოეწყობა ქუჩის მხრიდან, არსებული ღობის ერთ-ერთ ფლიგელში, მოიხსნება შეფიცვრა და აგურის წყობა, სვეტებს შორის.

ბ) აქვე მოეწყობა ბაქანი-ხიდი, რადგანაც ღობესა და კედელს შორის არსებობს 140 სმ დაშორება და გზისა და მიწის დონეებს შორის განსხვავება თითქმის 60 სმ-ია. ამ ბაქანზე შეიკვრება ანუდირებული ალუმინის თეთრი პროფილით შემინული სივრცე, რომელიც გადაიხურება სახურავის სენდვიჩ პანელით. შემინვა აუცილებელია, რადგანაც მოგეხსენებათ დიდი დიღომი ქარიანი ადგილია და დიდ უხერხულობას და საშიშროებას შექმნის ღია სივრცედ დატოვილი ბაქანი.

გ) ფასადზე ღერძებში 2-1 , მოეწყობა საწყობში შესასვლელი ძირითადი კარი, თეთრი მეტალოპლასტმასის პროფილზე, შემინული. პირველ სართულზე მოხდება არსებული ფანჯრების დემონტაჟი, ჩამოიჭრება კედლის სენდვიჩ პანელის სიბრტყეები და ფანჯრები აიწევს მეორე სართულის იატაკის დონეზე არსებულ მეტალის კარკასამდე.

დ)ფასადზე ღერძებში A-D , შესასვლელი კარი და სამი ფარჯარა მოიხსნება. კარის ადგილას მოეწყობა ახალი ფანჯარა, თეთრ მეტალოპლასტმასის პროფილზე დამზადებული და მოხსნილ 3 ფანჯრასთან ერთად აიწევს ზემოთ. ზომები ნაჩვენებია გრაფიკულ ნაწილზე.

ე) ფანჯრების ქვემოდ მიწის ნიშნულამდე გაიკვრება ბაზალტის ქვა, რადგან უფრო დაცული იყოს შენობა წყლისგან.

ვ) ქუჩის მხარეს ღობის სივრცეში დღეს არსებული საფეხმავლო ჭიშკარი გაუქმდება დაღობის სხვა ნაწილების შესაბამისად გადაკეთდება. კერძოდ, ამოშენდება სვეტებს შორის აგურის წყობა და მასზე მოეწყობა შეფიცვრა.

ზ) რაც შეეხება ბეტონის საფარს გზის მხარეს სამანქანო შესავლელი ჭიშკრის არეალში, დღეის მდგომარეობით არსებობს პანდუსი რომელიც დახრილია ეზოს მხარეს. ზემოთ მოგახსენეთ ჩვენი მწარე გამოცდილების შესახებ, ამიტომ ვთვლით, რომ აუცილებელია ავწიოთ ასფალტის საფარის დონე და პირიქით გზის მხარეს დავხაროთ. რეალურად საფარის დონე აიწევა ღობის სვეტებზე არსებული ბეტონის ნიშნულზე (აგურის წყობა საიდანაც იწყება), რაც აარიდებს ეზოს ზედმეტი წყლის ნაკადს.

თ) ეზოში, ჭიშკრიდან შესაბამისი დახრით მოეწყობა ახალი პანდუსი, მანქანის შესასვლელად ტერიტორიაზე (იხილეთ ნახაზები).

ი) ამ სამუშაოების წარმოებისათვის საჭიროა მოხდეს არსებული 6,00 მეტრიანი ჭიშკრის დემონტაჟი და შესაბამისად მისი მონტაჟი უკვე ახალ ასფალტის საფარზე. არ იცვლება ჭიშკრის ზომები და სვეტებს შორის დარჩება იგივე ზომა, 6,00 მეტრი. ჭიშკარიც დამონტაჟდება იგივე.

კ) ქუჩის მხარეს ფასადზე არსებული სარეკლამო წარწერები გადაინაცვლებს მარცხენა მხარეს.

ყველა ჩამოთვლილ სამუშაოებს შევასრულებთ საკუთარი სახსრებით.

პატივისცემით და დადებითი იმედებით განმცხადებელი, მოქალაქე ამირან ბრეგვაძე (პ/ნ 01029005422)


P
PARKING





20:19 62

00:29 / 00:29

20:19 62

00:18 / 00:29









